

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2021 წლის 20 დეკემბერი

ქ. ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, „ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №31 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/ 12/ 2020, 190020020.35.158.016521) შევიდეს ცვლილებები:

მუხლი 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №31 დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 20 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამაზ ჟორჟოლიანი

დანართი №1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	33,581.1	39,478.2	7,749.3	31,728.9	37,051.5	7,365.1	29,686.3
გადასახადები	4,729.6	7,256.4	0.0	7,256.4	5,274.2	0.0	5,274.2
გრანტები	9,666.4	7,884.6	7,749.3	135.3	7,694.3	7,365.1	329.2
სხვა შემოსავლები	19,185.0	24,337.2	0.0	24,337.2	24,082.9	0.0	24,082.9



ხარჯები	24,698.6	25,013.2	696.0	24,317.2	30,112.0	827.3	29,284.7
შრომის ანაზღაურება	3,574.9	3,442.4	130.4	3,312.0	3,806.0	132.0	3,674.0
საქონელი და მომსახურება	3,371.5	3,184.0	395.8	2,788.2	4,129.5	522.3	3,607.2
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	56.0	40.9	0.0	40.9	29.0	0.0	29.0
სუბსიდიები	12,025.1	13,325.0	169.1	13,155.9	15,546.5	170.0	15,376.5
გრანტები	45.0	48.9	0.0	48.9	45.0	0.0	45.0
სოციალური უზრუნველყოფა	2,533.7	3,092.2	0.8	3,091.4	2,894.0	3.0	2,891.0
სხვა ხარჯები	3,092.5	1,879.8	0.0	1,879.8	3,662.0	0.0	3,662.0
საოპერაციო სალდო	8,882.5	14,465.0	7,053.3	7,411.8	6,939.5	6,537.8	401.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,973.5	10,764.5	6,939.7	3,824.9	14,297.7	6,928.5	7,369.2
ზრდა	10,033.8	10,919.5	6,939.7	3,979.8	15,084.6	6,928.5	8,156.1
კლება	60.3	155.0	0.0	155.0	786.9	0.0	786.9
მთლიანი სალდო	-1,091.1	3,700.5	113.6	3,586.9	-7,358.2	-390.6	-6,967.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,433.5	3,562.4	113.6	3,448.8	-7,425.6	-390.6	-7,035.0
ზრდა	3,863.6	7,425.0	385.6	7,039.4	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	3,863.6	7,425.0	385.6	7,039.4	0.0	0.0	
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	5,297.1	3,862.6	272.0	3,590.6	7,425.7	390.7	7,035.0



ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0			0.0		0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	5,297.1	3,862.6	272.0	3,590.6	7,425.6	390.7	7,035.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-342.4	-138.1	0.0	-138.1	-67.5	0.0	-67.5
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	342.4	138.1	0.0	138.1	67.5	0.0	67.5
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	342.4	138.1	0.0	138.1	67.5	0.0	67.5
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

თანხა ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გემა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	38,938.4	43,495.8	8,021.3	35,474.5	37,838.4	7,365.1	30,473.2



შემოსავლები	33,581.1	39,478.2	7,749.3	31,728.9	37,051.5	7,365.1	29,686.3
არაფინანსური აქტივების კლება	60.3	155.0	0.0	155.0	786.9	0.0	786.9
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	35,074.8	36,070.8	7,635.7	28,435.1	45,264.0	7,755.8	37,508.2
ხარჯები	24,698.6	25,013.2	696.0	24,317.2	30,112.0	827.3	29,284.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,033.8	10,919.5	6,939.7	3,979.8	15,084.6	6,928.5	8,156.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	342.4	138.1	0.0	138.1	67.5	0.0	67.5
ნაშთის ცვლილება	-3,863.6	-7,425.0	-385.6	-7,039.4	7,425.6	390.6	7,035.0

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 37051.5 ათასი ლარის ოდენობით.

თანხა ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გემა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	33,581.1	39,478.2	7,749.3	31,728.9	37,051.5	7,365.1	29,686.3
გადასახადები	4,729.6	7,256.4	0.0	7,256.4	5,274.2	0.0	5,274.2
გრანტები	9,666.4	7,884.6	7,749.3	135.3	7,694.3	7,365.1	329.2
სხვა შემოსავლები	19,185.0	24,337.2	0.0	24,337.2	24,082.9	0.0	24,082.9

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გემა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	4,729.6	7,256.4	0.0	7,256.4	5,274.2	0.0	5,274.2
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახადები ქონებაზე	3,833.8	6,284.1	0.0	6,284.1	4,000.0	0.0	4,000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა)	2,520.7	5,063.7	0.0	5,063.7	2,800.0	0.0	2,800.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე(გარდა მიწისა)გადასახადი	11.1	15.2	0.0	15.2	7.0	0.0	7.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	861.9	805.4	0.0	805.4	883.0	0.0	883.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან	624.1	552.1	0.0	552.1	700.0	0.0	700.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან	237.8	253.3	0.0	253.3	183.0	0.0	183.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	440.0	399.8	0.0	399.8	310.0	0.0	310.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან	56.6	28.5	0.0	28.5	10.0	0.0	10.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან	383.4	371.3	0.0	371.3	300.0	0.0	300.0
დამატებითი							



დირეზულების გადასახადი	895.9	972.3	0.0	972.3	1,274.2	0.0	1,274.2
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7694.3 ათ. ლარის ოდენობით.

თანხა ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გრანტები	9,666.4	7,884.6	7,694.3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	544.9	135.3	329.2
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9,121.5	7,749.3	7,365.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1,065.1	575.2	780.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1,065.1	575.2	780.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8,056.4	7,174.1	6,585.2
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	7,332.4	7,174.1	5,871.2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	724.0	0.0	714.0
სხვა სპეციალური ტრანსფერი	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 24082.9 ათ. ლარის ოდენობით.

თანხა ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	19,185.0	24,337.2	24,082.9
შემოსავლები საკუთრებიდან	18,489.4	23,905.8	23,800.9
პროცენტები	277.3	307.3	600.9
დივიდენდები	0.0	0.0	0.0
რენტა	18,212.1	23,598.5	23,200.0



მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	18,212.1	23,598.5	23,200.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	187.7	138.9	82.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	167.3	124.9	80.0
სანებართვო მოსაკრებლები	71.7	20.4	40.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.2	0.6	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	94.4	103.9	40.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20.4	14.0	2.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20.4	14.0	2.0
ჯარიმები,სანქციები და საურავები	280.8	166.0	200.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	227.1	126.4	0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 30112.0ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

თანხა ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გემა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	24,698.6	25,013.2	696.0	24,317.2	30,112.0	827.3	29,284.7
შრომის ანაზღაურება	3,574.9	3,442.4	130.4	3,312.0	3,806.0	132.0	3,674.0
საქონელი და მომსახურება	3,371.5	3,184.0	395.8	2,788.2	4,129.5	522.3	3,607.2
პროცენტი	56.0	40.9	0.0	40.9	29.0	0.0	29.0
სუბსიდიები	12,025.1	13,325.0	169.1	13,155.9	15,546.5	170.0	15,376.5
გრანტები	45.0	48.9	0.0	48.9	45.0	0.0	45.0
სოციალური უზრუნველყოფა	2,533.7	3,092.2	0.8	3,091.4	2,894.0	3.0	2,891.0
სხვა ხარჯები	3,092.5	1,879.8	0.0	1,879.8	3,662.0	0.0	3,662.0



მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 14297.7ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15084.6ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარში

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	129.4	62.8	666.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	7,996.6	9,695.6	12,983.3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	1.8	400.0
04 00	განათლება	1,302.2	1,108.8	630.1
03 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	597.2	19.5	405.1
05 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სოციალური უზრუნველყოფა	8.4	31.1	0.0
	სულ ჯამი	10,033.8	10,919.5	15,084.6

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 786.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	60.3	155.0	786.9
ძირითადი აქტივები	16.3	92.6	205.0
არაწარმოებული აქტივები	44.0	62.4	581.9
მიწა	44.0	62.4	581.9

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,478.6	5,537.4	6,804.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,080.2	4,722.7	6,707.5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,080.2	4,722.7	6,017.5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	690.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	398.4	179.0	96.5
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	635.8	0.0
702	თავდაცვა	240.9	238.5	265.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	5,407.8	9,324.3	12,310.4
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	4,278.6	7,125.7	9,923.4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,278.6	7,125.7	9,923.4
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,129.2	2,198.6	2,387.0
705	გარემოს დაცვა	2,086.8	2,236.0	2,916.4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1,528.6	1,566.3	2,156.5
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	94.6	26.3	0.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	463.6	643.4	759.9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	6,271.1	3,060.6	4,917.2
7061	ბინათმშენებლობა	3,245.1	955.4	2,632.2
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1,358.6	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	133.2	618.9	514.0
7064	გარე განათება	809.2	798.6	1,073.9



7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	725.1	687.7	697.1
707	ჯანმრთელობის დაცვა	306.8	420.3	515.5
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	306.8	420.3	515.5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	6,127.5	6,105.1	7,517.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,248.0	3,159.7	3,845.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2,237.4	2,346.7	2,712.1
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	152.1	133.2	237.5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	300.0	300.0	360.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	189.9	165.5	362.5
709	განათლება	4,696.3	4,230.6	4,218.8
7091	სკოლამდელი აღზრდა	3,040.0	3,109.1	3,435.7
7092	ზოგადი განათლება	1,656.4	1,121.4	783.1
70923	საშუალო ზოგადი განათლება	1,656.4	1,121.4	783.1
710	სოციალური დაცვა	4,459.0	4,918.1	5,799.4
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	329.5	448.9	522.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	54.2	96.5	145.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	275.3	352.5	377.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	519.4	544.2	660.4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,612.9	1,582.0	1,475.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	16.7	18.8	25.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	32.4	30.3	45.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,948.1	2,293.9	3,072.0
	სულ	35,074.8	36,070.8	45,264.0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------	-----------------



საოპერაციო სალდო	8882.5	14465.0	6939.5
მთლიანი სალდო	-1091.1	3700.5	-7358.2

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -7,425.6 ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 7,425.6 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,433.5	3562.4	-7,425.6
ზრდა	3,863.6	7425.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	3,863.6	7425.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0
კლება	5,297.1	3,862.6	7,425.6
ვალუტა და დეპოზიტები	5,297.1	3,862.6	7,425.6
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0

2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 7,484,616.14 ლარი. მათ შორის: მთავრობის განკარგულება N13 საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში 25944.94 ლარი; N27 09/01/2020 მთავრობის განკარგულების საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის გამოყოფილ რესურსიდან



ნაშთმა შეადგინა 11649.76 ლარი. მთავრობის განკარგულება N265 19.02.2016 ტრანსფერში ნაშთმა შეადგინა 34,815.71 ლარი; N136 18/01/2018 მთავრობის განკარგულებიდან ნაშთმა შეადგინა 9879,72 ლარი; N2630 18/12/2019 მთავრობის განკარგულებით გამოყოფილ ტრანსფერიდან ნაშთმა შეადგინა 308360,81 ლარი. ასევე, 2021 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში არსებულმა ნაშთმა კი – 82927,44 ლარი, ხოლო საქართველოს ბანკში არსებულმა ნაშთმა შეადგინა 7011037,76 ლარი ,მ 10791,73 ლარი და 48175,21 ლარი, რომელიც 2019 წელს საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში 300093011 სახაზინო კოდის ნაცვლად ასახული იყო 300099800 სახაზინო კოდზე, არსებული მიმდინარე წელს ჩასწორდა და აისახა 2021 წლის პროცენტებში, შესაბამისად ნაშთი განისაზღვრა 7425649,20 ლარით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ვალდებულებების კლება-საშინაო-სესხების ეკონომიკურ მუხლში გეგმა განისაზღვრა სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდთან 2017 წლის 13 მარტის N50 ხელშეკრულებების მიხედვით. სესხის ფარგლებში განხორციელდა ორი ცალი კომპაქტორიან ნაგავმზიდი მანქანის და ასი ცალი ნარჩენების კონტეინერის შესყიდვა.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გემა	2021 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	-342.4	-138.1	-67.5
ზრდა	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0
კლება	342.4	138.1	67.5
საშინაო	342.4	138.1	67.5
საგარეო	0.0	0.0	0.0

ვალის ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 316060 ლარი და 2021 წლის 31 დეკემრისთვის კი – 258594 ლარი.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 305.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 170,00 ათასი ლარის ოდენობით;

ა.ა) ა.ა.ი.პ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაავადებათა აღრიცხვის კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის;-ს მიერ 2021 წელს განსახორციელებელი; სავალდებულო ღონისძიებები ადგილობრივი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის 114.0 ათასი ლარის ოდენობით;

ა.ბ) შ.პ.ს. დეზე-ეფექტის-ს მიერ განსახორციელებელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების უფლებამოსილებისათვის 56.0 ათასი ლარის ოდენობით;



ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 132,0 ათასი ლარის ოდენობით;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3,0 ათასი ლარის ოდენობით;

2. საქართველოს მთავრობის განკარგულება №2685 (31.12.2020 წ) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე ბოლნისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 871 184 ლარი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

3. საქართველოს მთავრობის განკარგულება №168 (05.02.2021 წ) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე ბოლნისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 714 000 ლარი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

4. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან N147 4.02.2021 წლის მთავრობის განკარგულების საფუძველზე მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 406.7 ათასი ლარი მიიმართოს მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის და სოფელ სავანეთში საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის 68,3 ლარი.

თავი II

ბოლნისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები

მუხლი 14. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები, რომელიც განხორციელდება რამოდენიმე მიმართულებით: 1. ახალი სტრუქტურის, დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნა; 2. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების



შიდა და გარე სისტემების შექმნა; 3. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; 4. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; 5. ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 6. მიმდინარე პროცესების მართვა და სხვა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ადგილობრივი ბიუჯეტით, მასში გაწერილი პროგრამებითა და ქვეპროგრამებით განისაზღვრება, თუ როგორ უნდა დახარჯოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ საჯარო ფინანსები იმ გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, რომლებიც აუცილებელია მოქალაქეთა ცხოვრებისთვის. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბიუჯეტის შემუშავების ფუნდამენტური პრინციპია – ბიუჯეტის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. გამჭვირვალობა გულისხმობს ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობას საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნებას; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. აღნიშნული პრინციპების საფუძველზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს ჩაერთოს ბიუჯეტის შემუშავებისა და აღსრულების პროცესში. მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ და საკუთარი მოსაზრებები მიაწოდონ ადგილობრივ ხელისუფლებას. ბიუჯეტის პროექტის შედგენის, განხილვისა და დამტკიცებისას, მოქალაქეებს უფლება აქვთ, წინადადებებით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს, ასევე, დაესწრონ საკრებულოს სხდომებს და მიაწოდონ საკრებულოს საკუთარი წინადადებები და შენიშვნები. ბიუჯეტის შედგენისა და განხილვის ეტაპებზე მოქალაქეთა მონაწილეობის კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებია: საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა; საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა; საკრებულოს დადგენილების პროექტის პეტიციის წესით ინიცირება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ნებისმიერი მოქალაქის კანონით გარანტირებული უფლებაა მოითხოვოს შეხვედრა საკრებულოს წევრთან და მიაწოდოს საკუთარი მოსაზრება ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. ასევე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით საკრებულო ვალდებულია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტების საჯარო განხილვა მათ დამტკიცებამდე. ასევე, საკრებულოს ვალდებულია სამ თვეში ერთხელ მაინც უზრუნველყოს „ღია კარის სხდომები“ მოქალაქეთა მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მოსასმენად. გარდა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურისა, ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შედგენის ეტაპზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების ორგანიზებით იმართება საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტისა და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის. აღნიშნულ შეხვედრებზე ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს განიხილოს საბიუჯეტო დოკუმენტების პროექტები, დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით და მიაწოდოს რეკომენდაციები ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას, მერიის შესაბამისი სამსახურებისა თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებს. გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებისა, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში. მოქალაქეთა მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები თვითმმართველობის ბიუჯეტის აღსრულების პროცესში მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტი დაიგეგმოს გამჭვირვალედ, მიზანმიმართულად და საზოგადოების ფართო ჩართულობით, ხოლო მისი ხარჯვა კი განხორციელდეს მაქსიმალურად ეფექტიანად. ბიუჯეტის ხარჯვის, ანუ აღსრულების, ეტაპზე მოქალაქეებს შეუძლიათ, განახორციელონ მონიტორინგი, თუ რამდენად წესებისა და პროცედურების დაცვით ხდება დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვა და ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება, ასევე, რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტიანად იხარჯება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საბიუჯეტო რესურსები. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და აუდიტორული დასკვნა არის საჯარო ინფორმაცია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. გასათვალისწინებელია, რომ წლის განმავლობაში, ადგილობრივ ბიუჯეტში შედის ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც ბიუჯეტს ემატება ახალი ღონისძიებები, ასევე, იცვლება არსებული ღონისძიებების დაფინანსება. მოსმენილი ანგარიშების საფუძველზე, მოქალაქეს უფლება აქვს შეიმუშაოს რეკომენდაციები და წარუდგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ბიუჯეტის ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
------------------	------------	--------------------	--------------------	-----------------



01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5719.6	5776.0	7069,0
01 01	ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	917.1	888.9	1036,0
01 02	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია	4133.6	3817.9	4942,5
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	690,0
01 04 01	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა	0.0	0.0	10.0
01 04 02	მგფ-ს და სხვა ვალდებულებების დაფარვა	398.4	179.0	86.5
01 05	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური	240.9	238.5	265.0
01 06	საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადება	29.5	15.9	39.0
01 07	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა	0.0	635.8	0.0

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო (პროგრამული კოდი 01 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება ქვეყნის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებების, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, სამოქალაქო პლურალიზმის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის, რამდენადაც იგი წარმომადგენს რაიონის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელ საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე სახელისუფლებო შტოს.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებისას მისი მოცულობის, ეფექტურობის და გამჭვირვალობის გაზრდა. მერიის საქმიანობის კონტროლის ფორმებისა და მეთოდების დახვეწა-სრულყოფა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 1036.0 ათასი ლარი.

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია.(პროგრამული კოდი 01 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

რაიონის ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება. ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა. პროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ორგანოს განხორციელების პირობების შექმნა; მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ებისა და შპს-ების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; მერიის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა; მერიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება. ბიუჯეტით



გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა. სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

მერიის გამართული და ეფექტური მუშობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 4942.5 ათასი ლარი.

1. სარეზერვო ფონდი.(პროგრამული კოდი 01 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%- ს. სარეზერვო ფონდიდან თანხებს ქალაქის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ფონდის მიზანია, ბიუჯეტის გეგმაში შესაბამის პროგრამაში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დროს, რესურსის გამოყოფა და დროულად აღმოფხვრა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 690.0 ათასი ლარი.

1. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი.(პროგრამული კოდი 01 04)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შექმნილია წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო თარიღისა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულებების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 96.5 ათასი ლარი.

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური.(პროგრამული კოდი 01 05)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური ვალდებულია შეატყობინოს და გამოიძახოს ბოლნისის რაიონში რეგისტრირებული მოქალაქე ან/და მოქალაქე,რომელსაც არ აქვს რეგისტრაციის ადგილი, – ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (18-დან 27 წლამდე ასაკის



პირი, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და რომელსაც არ აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან გაწვევის გადავადების საფუძველი, ექვემდებარება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას) სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისთვის.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 265.0 ათასი ლარი.

1. საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადება.(პროგრამული კოდი 01 06)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში იგეგმება საჯარო მოსამსახურის მიერ დაკავებული თანამდებობისადმი დადგენილი საკვალიფიკაციო ცოდნის სავალდებულო მინიმუმში კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამის მიზანია საჯარო სამსახურის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. პროგრამა საჯარო მოხელეთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით და მოდულებით გეგმავს.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია საკანონმდებლო ნოვაციების სწავლება და კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების გაცნობა; ცოდნისა და კვალიფიკაციის ზრდა, პროფესიული ჩვევების გაუმჯობესება;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 39.0 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- საჯარო მოხელეთა პროფესიული ცოდნის, კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების გაღრმავება-ამაღლება, მუნიციპალური მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და სამსახურში მათი დანერგვა გაუმჯობესებული მმართველობისთვის;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სერთიფიცირებული თანამშრომლების რაოდენობა;(ქალი/კაცი)
- მოხელეთა ატესტაციების შედეგები;

2. ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ქალაქის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11961.4	12633.4	17557.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-	4278.6	7125.7	9923.4



	რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა			
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6048.8	2920.8	4792.2
02 02 01	სარწყავი არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	0.0	0.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია	133.2	618.9	514.0
02 02 03	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	809.2	798.6	1073.9
02 02 05	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია	94.6	26.3	0.0
02 02 06	ბინათმშენებლობა	2431.8	285.2	1830.9
02 02 07	სარიტუალო მომსახურებისა და სასაფლაოების მოვლა-შენახვა	408.1	521.6	572.1
02 02 08	სანიაღვრე სისტემების მოწყობა	1358.6	0.0	0.0
02 02 10	კორპუსების მოვლა-პატრონობა	275.3	365.7	476.3
02 02 11	ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება	538.0	304.4	325.0
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	504.9	388.3	455.0
02 03 01	ქალაქის შემოსასვლელის, ქუჩების კეთილმოწყობა და ქალაქის ნაწილის რეაბილიტაცია	66.4	158.6	80.0
02 03 02	სკვერებისა და შადრევნების კეთილმოწყობა	250.6	7.4	45.0
02 03 03	ცენტრალური პარკის მოვლა	187.9	222.3	330.0
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1129.2	1501.6	1820.4
02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	0.0	389.6	273.0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	0.0	307.3	293.6
02 07	ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0



2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

მიუხედავად იმისა, რომ უკანსკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე მიმდინარედ შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გზის საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების და მშენებლობის სამუშაოების ჩატარებას. მათ შორის: გზების მიმდინარე (ორმოული) და ფრაგმენტული შეკეთება; გზების ქვიშა-ხრეშოვანი მასალით მოწყობა; ქუჩების ტროტულების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება; გზებზე ასფალტ/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება;

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია, ქალაქში და მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში გამავალი გზების რეაბილიტაცია, რაც ქალაქისა და სოფლის გზებზე ავტოტრანსპორტის უფრო კომფორტულად გადაადგილებას უზრუნველყოფს და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. აღნიშნული გზის მშენებლობაზე, ასობით საქართველოს მოქალაქე დასაქმდება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 9923.4 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა. (გაზომვის ერთეული კმ)

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მშენებლობა-ექსპლუატაცია, სარწყავი არხების, საკანალიზაციო, სასმელი წყლის და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სარიტუალო სახლებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ბოლნისის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოსახლეობისა და მისი სტუმრებისათვის ესთეტიკურად მიმზიდველი, უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა და განვითარება;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 4792.2 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:



- მოწესრიგებული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტში მარალი ხარისხის ეკოლოგიური მდგომარეობა და სანიტარული პირობები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული კომუნალური ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;

2.2.2. სასმელი წყლით მომარაგების სამუშაოები. (პროგრამული კოდი 02 02 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება და რეაბილიტაცია, სოფლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა; სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა, მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მაგისტრალზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესრულება და გამრიცხველიანება, რეზერვუარების რეცხვა-დასუფთავება, დეზინფექცია;

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ბოლნისის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების გამართვასა და შეუფერხებლად უსაფრთხო წყლის მიწოდებას მოსახლეობისთვის.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 514.0 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- სასმელი წყლის სისტემის დანერგვა მუნიციპალიტეტში და თანაბრად ხელმისაწვდომობა მოსახლეობისთვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოწესრიგებული სასმელი წყლის სისტემების რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.
- წყლის სინჯის ანალიზი.

2.2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.(პროგრამული კოდი 02 02 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას. ქალაქის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა; გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება. ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება, ღამის პერიოდში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, ისტორიული ძეგლებისა და ტაძრების ფასადების, სკვერებისა და ბულვარების განათებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათება .

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ღამის პერიოდში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 1073.9 ათასი ლარი.



მოსალოდნელი შედეგები:

- განათებული მუნიციპალიტეტი და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტში არსებული განათებული ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობა .
- ექსპლუატირებული და რეაბილიტირებული სანათი წერტილების რაოდენობა.

2.2.5. ბინათმშენებლობა.(პროგრამული კოდი 02 02 06)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტში არის მრავალი ავარიული შენობები, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს. ამისათვის დაგეგმილია გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული არასაცხოვრებელი და საცხოვრებელი სახლების შემცირებას. ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას. გასამაგრებელი შენობების პრიორიტეტულობა განისაზღვრება ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი დასკვნის საფუძველზე დადგენილი ავარიულობის სიმწვავის კატეგორიის მიხედვით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობების რეაბილიტაცია/მშენებლობა, საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება, მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 1830.9 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- აშენებული და რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აშენებული და რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობები რაოდენობა;

2.2.6. სარიტუალო მომსახურებისა და სასაფლაოების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 07)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი რიტუალური სახლების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

არსებული რიტუალური სახლების და სასაფლაოების საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 572.1 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოვლილი და მოწესრიგებული სარიტუალო სახლები;



- დასუფთავებული და კეთილმოწყობილი სასაფლაოები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოვლილი სარიტუალო სახლები.
- მოვლილი და დასუფთავებული სასაფლაოების რაოდენობა.

2.2.7. კორპუსების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 02 10)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ ბოლნისის კორპუსის დაფინანსებას, რომლის საქმიანობაც მოიცავს შესაბამის ორგანოებთან ერთად და საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობით მრავალბინიანი სახლების ტექნიკური პასპორტების და ამ სახლების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვას; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშესაწყობად პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა. აღწერა-პასპორტიზაცია და განვითარება; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებაში ამხანაგობების ჩართულობა (თანამონაწილეობა) და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 476,3 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლუატაციაგაზრდილი კორპუსების რაოდენობა;
- კორპუსების საექსპლუატაციო ვადის გაზრდა;

2.2.8. ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 02 02 11)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროექტის კონკრეტული ამოცანები: ბოლნისის რეგიონალური აგრო-ბიზნესის კვანძად ჩამოყალიბების მიზნით ბიზნეს კლასტერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; მცირე და საშუალო საწარმოების და ინდივიდუალური მეწარმეების თანამშრომლობისა და კავშირების გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და რეგიონულ ბაზრებთან უკეთესად ხელმისაწვდომობის მიზნით; ტურისტული თვალსაზრისით ბოლნისის მომხიბვლელობის ზრდა გაუმჯობესებული ტურისტული ინფრასტრუქტურის და შესაბამისი მარკეტინგის საშუალებით;

პროექტი მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: საწარმოო შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და ადგილობრივ წარმოებულ საქონელზე მოთხოვნის დასადგენად სრულყოფილი კვლევის განხორციელება, ასევე მიწოდების წყაროების იდენტიფიცირება, რეგიონული აგრო-ბიზნეს ლოჯისტიკური კვანძის ტერიტორიაზე პერიფერიული მომხმარებლების საქმიანი ინტერესების შეფასება; საჯარო-კერძო დიალოგისთვის მდგრადი არხების შექმნა და დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის ჩართვა გრძელვადიანი ინფორმაციის გაზიარებისა და კომუნიკაციის მექანიზმების შესანარჩუნებლად; აგროცენტრის ჩამოსაყალიბებლად ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა და ფერმერების, აგროწარმოებაში ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესების დამხმარე



შესაძლებლობებით(ხილ-ბოსტნეულის, ყველისა და სხვა ნაწარმის შეფუთვის და ღვინის ჩამოსხმის სერვისის მიწოდება) უზრუნველყოფა;აგროცენტრის ბიზნეს მოდელისა და მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება; ქ.ბოლნისის ისტორიული უბნის „კატერინენფელდის“ ნაწილის(მ.სტეფანას ქუჩა) ინფრასტრუქტურის მოწყობა: კანალიზაციის, გზის, ტროტუარებისა და გარე განათების ქსელის მოწყობა, ტურისტული მარკირების ნიშნების განთავსება.ქ.ბოლნისის ისტორიული უბნის „კატერინენფელდის“ მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება;ფერმერებისა და ტურიზმის დარგში არსებული მეწარმეების დატრენინგება ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად; ყოველწლიურად 2 ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა/გაყიდვის მოწყობა. ჯამში მოეწყობა 4 გამოფენა/გაყიდვა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ბიზნესის განვითარებისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების სტიმულირება მყარ ინფრასტრუქტურასა და მეწარმეთა ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში თანხების ინვესტირებით; საჯარო-კერძო დიალოგის წახალისება ფერმერული მეწარმეობის ხელშეწყობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით და ქალთა და ახალგაზრდობის ჩართულობაზე განსაკუთრებული აქცენტებით.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 325,0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- ბიზნესის ლოჯისტიკური ცენტრი და შესაბამისი კლასტერის ჩამოყალიბება და გაძლიერება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავება, შენახვა, შეფუთვა და გაყიდვა;
- აგრო წარმოებაში, აგრეთვე ტურიზმში ჩართული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ბიზნესის მართვის უნარების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აგროწარმოებაში და აგროღირებულებათა ჯაჭვში ჩართული ფერმერების, მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა;

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების, მუნიციპალიტეტის გამწვანების, შადრევნების მოვლა-პატრონობის და ქალაქის ინფრასტრუქტურული ნაწილის რეაბილიტაციის ღონისძიებები.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

მოსახლეობისთვის და ტურისტებისთვის კომფორტული და მიმზიდველი, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 455.0ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება;
- ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქალაქში კეთილმოწყობილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- ექსპლუატირებული და რეაბილიტირებული სკვერებისა და პარკების რაოდენობა.



2.3.1. ქალაქის შემოსასვლელის, ქუჩების კეთილმოწყობა და ქალაქის ნაწილის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ქუჩების ქვიშა-ხრემოვანი მასალით მოწყობა; ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთებები; ქალაქის ინფრასტრუქტურული ნაწილის რეაბილიტაცია.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის და ტურისტებისთვის კომფორტული და მიმზიდველი გარემოს შექმნა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 80,0 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;
- ტურისტებისთვის კომფორტული და მიმზიდველი გარემოს შექმნა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეღებილი ფასადის მქონე მრავალბინიანი სახლების რაოდენობა.

2.3.2. სკვერებისა და შადრევნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭიროა არსებული სკვერების და შადრევნების მოწყობა/რეაბილიტაცია, ელექტროენერგიისა და წლის მიწოდება .

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 45,0 ათასი ლარი.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

მოსახლეობისთვის კომფორტული და ეკოლოგიური დასასვენებელი გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოვლილი სკვერები და შადრევნები;
- თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლუატირებული შადრევნებისა და სკვერების რაოდენობა;

2.3.3. ცენტრალური პარკის მოვლა (პროგრამული კოდი 02 03 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს „კულტურისა და დასვენების პარკი“ , რომელიც

განახორციელებს არსებული პარკის მოვლა-პატრონობას, ცენტრალური პარკის განათებასა და ფასადის რეაბილიტაციას.



პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

კომფორტული და დასასვენებელი ადგილის შექმნა ჯანსაღი მომავალი თაობისთვის.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 330.0ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოვლილი ცენტრალური პარკი;
- საზოგადოებისთვის ეკოლოგიურად სუფთა, კომფორტული, უსაფრთხო დასასვენებელი ადგილის შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პარკში დამსვენებელთა რაოდენობა;

2.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდება ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

სოფლის მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 1820.4 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- სოფლებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული გარემო;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოფლებში ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;

2.5. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროექტირების ეტაპზე ხდება საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხს და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შექმნა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 273.0 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:



- სამშენებლო სამუშაოების დროულად დაწყების შეფერხების შემცირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეძენილი პროექტების რაოდენობა.

2.6. საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის

მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

საზედამხედველო სამუშაოების დაფინანსება ხორციელდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 50000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 293.6 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგარანტიო ვადაში, ობიექტზე წარმოშობილი ხარვეზის შედეგად მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზიანი.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა.(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს მისი დასუფთავება, უპატრონო ცხოველებისაგან იზოლირება და ხეების გადაბეღვა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1992,2	2270,0	2916.4
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	1528,6	1566,3	2156.5
03 02	ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება	463,6	643,4	759.9

3.1. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:



მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის დროს განხორციელდება ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსდება დასახლებულ პუნქტებში ქვეწარმავლების დაჭერა – უსაფრთხო ადგილზე გაყვანის მომსახურება.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და უსაფრთხო ეპიდგარემოს უზრუნველყოფა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 2156.5 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო;
- დასუფთავებული ქალაქის ქუჩები, პარკები და სკვერები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი;

3.2 ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ბოლნისის მწვანე საფარი. ასევე ხორციელდება ფერდობების, ბაღების, სკვერების მოვლა-პატრონობა; მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, ხე-მცენარეები); მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა; სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია გამხმარი ხეების მოჭრისა და გადაბელვის სამუშაოების წარმოება. მეორეს მხრივ, ჯანმრთელი ხეების გადაბელვითი სამუშაოები ხელს უწყობს მათი სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება საშემე მერქანის დამზადება და სოციალურად დაუცველ ოჯახებზე დარიგება. ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა და რეკულტივაციით გადარგული ხე-მცენარეების მორწყვა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

საზოგადოებისთვის ეკოლოგიურად სუფთა, კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 759.9 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:



- მოვლილი და გაფორმებული პარკები და სკვერები;
- თანამედროვე ლანდშაფტური დიზაინით გაფორმებული ქალაქის ტერიტორია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გამწვანებული ტერიტორიის ფართობი;
- რეაბილიტირებული და ახლად შექმნილი სარეკრეაციო ზონების რაოდენობა.
- დარგული ხეების რაოდენობა.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდულ ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებას და მათ საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო ცენტრში სწავლას.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
04 00	განათლება	4696.3	4230.6	4218.8
04 01	სკოლამდელი განათლება	3040.0	3109.1	3435.7
04 01 01	ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“	2602.1	2618.2	3005.0
04 01 02	საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	437.9	490.9	430.7
04 02	უნარშეზღუდული ბავშვების ხელშეწყობა	161.7	160.7	203.7
04 03	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	1494.7	960.7	579.4

4.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, სტანდარტების



შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია, სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 3435.7 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები ;
- გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო, პროცესი;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა;
- სურსათის უვნებლობის და მსგავსი სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების შეფასება.

4.1.1. ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“ (პროგრამული კოდი 04 01 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“, რომელიც განახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მათი საქმიანობისთვის ხელშეწყობა. ფილიალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. რაციონალური და ჯანსაღი კვების ორგანიზება. სავალდებულო მედიკამენტებითა და პირველადი დახმარების საშუალებებით, აგრეთვე, სხვა აუცილებელი საგნებით უზრუნველყოფა. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 1300 ბავშვი. სკოლამდელი დაწესებულების დაფინანსება ხორციელდება სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მუნიციპალიტეტი ხელსუფლებს ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, კვებას და დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 3005.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა;
- გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე ბაგა-ბაღები;
- მრავალფეროვანი და გაუმჯობესებული კვების რაციონი;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე ბაგა-ბაღების რაოდენობა;
- სერთიფიცირებული კადრების რაოდენობა;
- საბავშვო ბაღებში მოსიარულე ბავშვების რაოდენობა (ბიჭი/გოგო);



4.1.2. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და მიმდინარე რემონტი.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების 430.7 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესებული საამღზრდელო გარემო;
- თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო .

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოწესრიგებული და მოვლილი საბავშვო ბაღები რაოდენობა;
- შშმ-სათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის მოწყობილი პანდუსების რაოდენობა.

4.2. უნარშეზღუდული ბავშვების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო ცენტრი „განთიადი“-ს დაფინანსებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდულ ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებას და მათ საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო ცენტრში სწავლას.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

განათლების საფუძველზე (სხვადასხვა თემატური ტრენინგ-სემინარების, სახელობო სწავლებების მეშვეობით) ახალგაზრდების ზოგადი განათლების დონის ამაღლება, მათში სახელმწიფოებრივი აზროვნების, ცნობიერების ამაღლება. შშმ პირთა საზოგადოებაში ინკლუზია;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 203.7 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- შშმ მოსწავლეთათვის სწავლის ხელმისაწვდომობა;
- შშმ მოსწავლეთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა(გოგო/ბიჭი) ;
- საგანმანათლებლო სივრცეში შშმ ბავშვების ჩართულობის დონის ზრდა.

4.3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით ზოგად განათლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარჯების დაფინანსება და მათი რეაბილიტაცია, აგრეთვე მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

განათლების საფუძველზე ახალგაზრდების ზოგადი განათლების დონის ამაღლება, მათში სახელმწიფოებრივი აზროვნების, ცნობიერების ამაღლება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 579.4 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა;
- თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო .

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა.
- რეაბილიტირებული სკოლების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო სივრცეში შშმ ბავშვების ჩართულობის დონის ზრდა.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ტრადიციების დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; სპორტის სხვადასხვა სახეობის, საქართველოს ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობას; სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობას; მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია; ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერას და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ასევე გაგრძელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა ეკლესიების, მონასტრების რესტავრაცია და შემდგომი აღორძინებისათვის.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5939.6	5882.8	7187.5
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3060.1	2937.4	3515,4
05 01 01	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	1990.3	2361.4	2695.5



05 01 01 01	ა(ა)იპ – სკოლიგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი	915.0	1042.2	1208.5
05 01 01 02	ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“	140.1	140.2	153.0
05 01 01 03	ა(ა)იპ – რაგბის კლუბი ბოლნისი	657.0	877.7	1000.1
05 01 01 05	აიპ სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა	278.1	301.2	333.9
05 01 02	სპორტული ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია	1069.9	576.0	819.9
05 01 02 01	სპორტული შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა და მოწყობა	579.1	8.9	180.0
05 01 02 02	აიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური	490.8	567.1	639.9
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2186.2	2322.2	2864.6
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2185.8	2322.2	2702.1
05 02 01 01	ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი	368.2	349.0	380.0
05 02 01 02	ა(ა)იპ – ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	218.6	266.8	277.6
05 02 01 03	ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	1599.0	1706.4	2044.5
05 02 02	კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები	0.4	0.0	162.5
05 03	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	51.6	24.5	10.0
05 04	ეპარქიის დაფინანსება	300.0	300.0	360.0
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	107.2	128.4	147.5
05 06	განცხადებები, რეკლამა და საეთერო დრო	44.9	4.9	90.0
05 07	წარჩინებული სპორტსმენების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ფულადი დახმარება	189.5	165.5	170.0
05 08	ინიციატივების თანადაფინანსება	0.0	0.0	10.0
05 09	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	0.0	0.0	20.0

5.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება – პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და



საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს სპორტულ საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივ ჩართულობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას. სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალება ექნებათ.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 3515.4 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;
- სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტული ღონისძიებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდა.
- სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების ზრდა;

5.1.1. სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“-ს, ააიპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ბოლნისის მიუდოს სკოლის“, ააიპ „რაგბის კლუბი ბოლნისის“, ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონას“, სადაც ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების წრები და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს სპორტულ საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივ ჩართულობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 2695.5 ათასი ლარი

შუალედური შედეგები:

- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.
- შეჯიბრებებზე მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა;



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობა;
- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში ჩართულ ქალთა რაოდენობა;

5.1.1.1. ა(ა)იპ – სკოლიგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი(პროგრამული კოდი 05 01 01 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ღონისძიების მიზანია დაწესებულების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებში და ტურნირებში მონაწილეობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 1208,5 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- გამართულად ფუნქციონირებადი სპორტული სკოლა, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები.
- ფეხბურთის, ფრეზბურთის, კალათბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, კინგ ბოქსის, კარატეს, კრივის, კლავჭიდის, ძლეოსნობის პოპულარიზაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსწავლეების რაოდენობა;

5.1.1.2. ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“ (პროგრამული კოდი 05 01 01 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“ ფუნქციონირების ხელშეწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 153.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- გამართულად ფუნქციონირებადი საჭადრაკო სკოლა.
- ჭადრაკის პოპულარიზაცია და საჭადრაკო სკოლის მოსწავლეების წარმატებული გამოსვლა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსწავლეების რაოდენობა;

5.1.1.3. ა(ა)იპ – რაგბის კლუბი ბოლნისი (პროგრამული კოდი 05 01 01 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია რაგბის კლუბი ბოლნისის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 1000.1 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:



- გამართულად ფუნქციონირებადი რაგბის კლუბი.
- რაგბის პოპულარიზაცია და გუნდის წარმატებული გამოსვლა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტსმენტა რაოდენობა;

5.1.1.4. ააიპ სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 05)

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა ფუნქციონირების ხელშეწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 333,9 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- გამართულად ფუნქციონირებადი ძიუდოს სკოლა.
- ძიუდოს პოპულარიზაცია და გუნდის წარმატებული გამოსვლა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსწავლეების რაოდენობა;

5.1.2 სპორტული ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 02).

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა მოიცავს დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების (სპორტული დარბაზები, მოედნები, სტადიონები, სარბენი ბილიკები) მშენებლობას, მოწყობას, რეაბილიტაციას, ექსპლოატაციას და მოვლა-პატრონობას; ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურის, რომლის მთავარი ფუნქციაც სპორტული შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვაა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალება ექნებათ.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 819,9 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- რეაბილიტირებული და მოვლილი სპორტული ნაგებობები, რომლებიც შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ სპორტულ ღონისძიებებს;
- თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო .

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და მოვლილი სპორტული ნაგებობების რაოდენობა;
- შშმპ-სათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის მოწყობილი პანდუსების რაოდენობა.

5.1.2 .1 . სპორტული შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა და მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02 01).

ქვეპროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:



ქვეპროგრამა მოიცავს დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების (სპორტული დარბაზები, მოედნები, სტადიონები, სარბენი ბილიკები) მშენებლობას, მოწყობას, რეაბილიტაციას, ექსპლოატაციას

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალება ექნებათ.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 180,0 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- რეაბილიტირებული და ახალი სპორტული ნაგებობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და ახალი სპორტული ნაგებობების რაოდენობა;

5.1.2.2. ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური (პროგრამული კოდი 05 01 02 02).

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამა მიზნად ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 639.9 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- გამართულად ფუნქციონირებადი ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური, რომელიც ემსახურება სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობას.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოვლილი სპორტული მოედნებისა და სტადიონების რაოდენობა;

5.2 .კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ბოლნისის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია. კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :



კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, კულტურის ღონისძიებების, ფესტივალების, კონცერტების და კულტურის სფეროს სხვა აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა. კულტურულ-შემოქმედებით სფეროში მოღვაწეობის მოტივაცია;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 2864,6 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- კულტურული ცხოვრების აღორძინება;
- მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა;
- რეაბილიტირებული კულტურის დაწესებულებები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების, სპექტაკლების და ფესტივალების რაოდენობა;
- კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა;
- მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა;
- თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა;

5.2.1 კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა. სამუზეუმო ნიმუშების პოპულარიზაციას, გამოფენას და მოვლა-შენახვას. ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობას, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტებას და სრულ აღრიცხვას. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“ სადაც სწავლობს 135 – მდე მოსწავლე, რაც ხელს შეუწყობს მოხარდ თაობაში ხელოვნების განვითარებას. ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა, საზოგადოებისა და ახალგაზრდობის ზნეობრივი და სულიერი სამყაროს გამდიდრება. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული ღონის ამაღლება.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, კულტურის ღონისძიებების, ფესტივალების, კონცერტების და კულტურის სფეროს სხვა აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა. კულტურულ-შემოქმედებით სფეროში მოღვაწეობის მოტივაცია;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 2702,1 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობაში ქართული კულტურის და ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება;



- მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;
- კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსების, სპექტაკლების, ფესტივალების, საანგარიშო კონცერტების რაოდენობა.
- მოსწავლეთა რაოდენობა.

5.2.1 .1. ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

თეატრის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 380,0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- თეატრის მაყურებლის ზრდა და სხვადასხვა სოციუმისთვის ხელმისაწვდომობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული თეატრის რაოდენობა.

5.2.1 .2. ა(ა)იპ – ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 277,6 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- მუსიკალური განათლების დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსწავლეების რაოდენობა

5.2.1 .3. ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, კულტურის ღონისძიებების, ფესტივალების, კონცერტების და კულტურის სფეროს სხვა აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 2044,5 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- ქართული ფოლკლორის და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია;



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსწავლეების რაოდენობა

3.2.2. კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები (პროგრამული კოდი 05 02 02).

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური კულტურის დაწესებულებების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, კულტურის სახლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ტექნიკური აღჭურვა, კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც გულისხმობს არსებული და მშენებარე კულტურის ობიექტების ადაპტაციას მათ საჭიროებებთან.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

კულტურის ინფრასტრუქტურის განვითარება და ეფექტური მართვა სათანადო პირობებს ქმნის მაღალი ხარისხის კულტურისმიერი პროდუქტისა და მომსახურების შექმნისა და მიწოდებისთვის, კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებისთვის.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 162,5 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- რეაბილიტირებული და უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კულტურის დაწესებულებები ;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა.
- რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობების რაოდენობა.

5.3. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორიცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობა და სხვა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების ჩართვას; ბოლნისის მუნიციპალიტეტმა შექმნას თანაბარი პირობები რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი და კულტურული განვითარებისათვის, წახალისოს, მოახდინოს მათი სტიმულირება და ხელშეწყობა,



რათა მათ მიეცეთ საშუალება გამოავლინონ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 10.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლებისა და გამოფენების რაოდენობის ზრდა;

5.4. ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა, ახალი ტაძრების მშენებლობაში, ისტორიული ეკლესია-მონასტრების აღდგენაში და მათ შემდგომ აღორძინებაში.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 360.0 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- სასულიერო კერების ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სასულიერო კერების რაოდენობა.

5.5. საგამომცემლო საქმიანობა.(პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს შპს „გაზეთი ბოლნისი“-ს დაფინანსებას ფუნქციონირებისათვის, რომელიც ახორციელებს, ახალი ამბების და კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქების.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 147,5 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოვლენების ობიექტური გაშუქება და ინფორმირებული მოსახლეობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეალიზებული გაზეთის რაოდენობა.



- ქალების წილი მომხმარებელთა რაოდენობაში.

5.6. განცხადება, რეკლამა და საეთერო დრო (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისათვის, საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით დაფინანსდება საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარჯები.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 90.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოვლენების ობიექტური გაშუქება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინფორმირებული მოქალაქეების რაოდენობა.

5.7. წარჩინებული სპორტსმენების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 05 07)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტები, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე). წარჩინებული სტუდენტები, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((B) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე).

ასევე, სპორტსმენებს, რომლებიც გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან:

ა) სპორტის სხვადასხვა სახეობაში (დიდებში და ახალგაზრდებში) საქართველოს ჩემპიონები, პრიზიორები და საქართველოს ნაკრების წევრები – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ბ) სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონები და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

გ) სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს პრიზიორები და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ერთჯერადი ფულადი ჯილდო გაიცემა სპორტსმენებზე, რომლებიც:

ა) გახდებიან ოლიმპიური ჩემპიონები – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) გახდებიან ოლიმპიური პრიზიორები (II ადგილი) – 8 000 (რვა ათასი) ლარი, (III ადგილი) – 6 000 (ექვსი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;



დ) გახდებიან ახალგაზრდული ოლიმპიადის პრიზიორები, (II ადგილი) – 3 000 (სამი ათასი) ლარი, (III ადგილი) 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;

ვ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები, (II ადგილი) – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი, (III ადგილი) – 3 000 (სამი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

თ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, (II ადგილი) – 3 000 (სამი ათასი) ლარი, (III ადგილი) – 2 000 (ორი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

კ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები, (II ადგილი) – 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, (III ადგილი) – 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათუშუალო მწვრთნელებზე – 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონისპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

მ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, (II ადგილი) – 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, (III ადგილი) – 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 1 000 (ერთ ათასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

ო) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან გრან-პრის, გრან-სლემისა და მსოფლიო მასტერსის პრიზიორები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში – (II – ადგილი) – 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, (III – ადგილი) – 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

პ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან საქართველოს რეიტინგული ჩემპიონები – 1000 (ერთიათასი) – ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

ჟ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან საქართველოს რეიტინგული ჩემპიონატის პრიზიორები – (II ადგილი) 800 (რვაასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, (III ადგილი) – 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

რ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან საქართველოს რეიტინგული ჩემპიონები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში – 8 00 (რვაასი) – ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

ს) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან საქართველოს რეიტინგული ჩემპიონატის პრიზიორები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, (II ადგილი) – 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, (III ადგილი) – 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

ტ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის ჩემპიონები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, პრიზიორებზე – 300 (სამასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 300 (სამასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო).

ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის მიმდინარე წლის „ეტალონის“ ბოლნისის ეტალონ მოსწავლეს მიეცემა სტიპენდია ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით მიმდინარე წლის განმავლობაში.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მოტივირება, მხარდაჭერა და წახალისება; ბოლნისის მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 170,0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ-მასწავლებლები და პერსპექტიული სპორტსმენები, წარჩინებული სტუდენტებისა და მოსწავლეების და წახალისების შედეგად გაზრდილი ერუდირებული ახალგაზრდობა;



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წარჩინებული სტუდენტების რაოდენობა;
- ჩემპიონი/პრიზიორი სპორტსმენები რაოდენობა;

5.8. ინიციატივების თანადაფინანსება(პროგრამული კოდი 05 08)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. მათი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია შექმნას სათანადო პირობები, რათა მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანმიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

"თანადაფინანსების პროექტის" ქვეპროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სრულწლოვანი მოქალაქეების, საინიციატივო ჯგუფების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, მათი ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 10,0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვადა ინიციატივების წახალისება.
- ახალგაზრდების მონაწილეობის ხარისხის, ცოდნისა და გამოცდილების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული პროექტების რაოდენობა 1-დან – 3-მდე (2021 წელი; მონაცემთა წყარო- განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური)

5.9. ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 09)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად იყონ ჩართულნი და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ მუნიციპალიტეტის განვითარებაში, ამისთვის საჭიროა საგანმანათლებლო, შემეცნებითი და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება. ახალგაზრდული მხარდაჭერის ქვეპროგრამის .

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას, ქვეყნის რეკრეაციული ლოკაციების გაცნობა/პოპულარიზაციას, არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობას, გართობისა და დასვენებისთვის არაფორმალური გარემოს შექმნას, აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაციას

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 20,0 ათასი ლარი



მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ამაღლებული ახალგაზრდების წვლილი თემის განვითარებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობაზე ხელმისაწვდომობა;
- ახალგაზრდების მხრიდან ეფექტურად გამოყენებული თავისუფალი დრო და დასვენებისთვის შექმნილი ალტერნატიული პირობები,

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული პროექტების რაოდენობა 3-დან 6-მდე (2021 წელი/ მონაცემთა წყარო განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური)
- პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა 800-დან – 1000-მდე (2021 წელი/ მონაცემთა წყარო განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური)

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4765.8	5338.3	6314.9
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	306.8	420.3	515.5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	306.8	420.3	515.5
06 01 01 01	ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დავადებათა აღრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრი“	173.3	235.3	321.3
06 01 01 02	სადერატიზაცო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოები	133.5	184.9	194.2
06 02	სოციალური პროგრამები	4459.0	4918.1	5799.4
06 02 01	ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	54.2	96.5	145.0
06 02 02	შშმ პირების დახმარებები	275.3	352.5	377.0
06 02 03	ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	465.9	474.0	556.2
06 02 04	სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა	19.3	15.8	43.0
06 02 05	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ლოგოპედის მომსახურებით უზრუნველყოფა	3.5	1.0	30.0
06 02 06	„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება	7.2	6.4	12.0



06 02 07	გათბობის სეზონისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	104.8	116.0	200.0
06 02 08	სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა	1478.3	1442.8	1190.0
06 02 09	ბინის ქირით უზრუნველყოფა (უსახლკაროების დახმარება)	16.7	18.8	25.0
06 02 10	სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახებისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა	32.4	30.3	45.0
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	77.6	46.4	100.0
06 02 12	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათი	510.1	491.9	630.0
06 02 13	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	12.6	12.3	40.0
06 02 14	ერთჯერადი დახმარებები	540.3	947.7	670.0
06 02 15	სარიტუალო მომსახურება	3.0	3.3	5.0
06 02 16	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება	804.6	792.3	1627.0
06 02 17	ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრი	53.5	70.2	104.2

6.1. ჯანდაცვის პროგრამები.(პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის შექმნას ფინანსური გარანტიები სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 515,5 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისაგან;
- პრევენციული ღონისძიებების საფუძველზე მოსახლეობის დაცვა ეპიდემიური დაავადებების გავრცელებისაგან;



- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული პრევენციული ღონისძიებები;
- საშიშ ინფექციურ დავადებით ავადობის მაჩვენებლის შემცირება;
- იმუნიზირებული მოსახლეობის რაოდენობა;
- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

6.1.2 . საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა. (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დავადებათა აღრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრი“-ს და შპს დეზ-ეფექტი“-ს დაფინანსებას, რომლის მიერ განახორციელდება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა და შენარჩუნება; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, ორგანიზაციებში, სკვერებში, ნაგვის შემკრებ ბუნკერებში; მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სამღმრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის გზით ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია დაავადებათა ადრეული გამოვლენა და გავრცელების შეზღუდვა. ქვეყნის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, მოსახლეობის უზრუნველყოფა ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე, სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შექმნა. მუნიციპალიტეტში გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა გამოვლენის, ადეკვატური რეაგირებისა და პრევენციის უზრუნველყოფა ეპიდზედამხედველობისა და ლაბორატორიულ სამსახურებზე დაფუძნებული სისტემის მუშაობის გზით. დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების პრევენციის გზით და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 515,5 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული პრევენციული ღონისძიებები;
- საშიშ ინფექციურ დავადებით ავადობის მაჩვენებლის შემცირება;
- იმუნიზირებული მოსახლეობის რაოდენობა;
- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.



6.2 . სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, სტუდენტთა და სპორტმენტთა სოციალურ დახმარებას, იძულებულ გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის შექმნას ფინანსური გარანტიები სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 5799.4 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- სიკვდილიანობის და ავადობის შემცირება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა;
- დაავადებულთა რიცხოვნობის კლება (ქალი/კაცი).

6.2.1. ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრონიკული დაავადებების მქონე მოსახლეობის უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა. დასაფინანსებელ ბენეფიციართა კონტიგენტია:

- ა) ეპილეფსიით დაავადებული მოქალაქეები;
- ბ) ბრონქიალური ასთმით დაავადებული მოქალაქეები;
- გ) ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოქალაქეები;
- დ) პარკინსონით დაავადებული მოქალაქეები;
- ე) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციით დაავადებული მოქალაქეები;

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ზემო აღნიშნული შესაძლო გართულებების პრევენცია და სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 145.0 ათასი ლარი



მოსალოდნელი შედეგები:

- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ქრონიკული დაავადებების მქონე მოსახლეობის ყოველთვიურად უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ჯამრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნება და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა;

6.2.2. შშმ დახმარებები (პროგრამული კოდი 0602 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, უსინათლო შშმ პირების და დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეების ყოველთვიური მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა. აღნიშნული ბენეფიციარების სახცოვრებელი პირობებისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ყოველთვიური მატერიალური დახმარება კალენდარული წლის განმავლობაში გაეწევთ შემდეგ ბენეფიციარებს:

ა. მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18

წელზე მეტი ასაკის ბენეფიციარებს – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

ბ. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს – 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით;

გ. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერან

ბენეფიციარებს – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

დ. ყრუ მუნჯებს – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ე) 18-დან 26 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე:

ე.ა) ბენეფიციარებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და

საჭიროებენ მუდმივ მომვლელს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ე.ბ) კლასიკური ფენილკეტონურიით დაავადებულ ბენეფიციარებს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ე.გ) აუტიზმით დაავადებულ ბენეფიციარებს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ვ. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს (18 წლამდე), რომლებიც საჭიროებენ

მომვლელს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ზ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეინტეგრირებულ შშმ

პირებს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :



პროგრამის მიზანია თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. შშმ პირთა საზოგადოებაში ინკლუზია;

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 377.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- ჰემოდიალიზზე მყოფი პირების (შშმ პირები) სიცოცხლის ხარისხის ამაღლება;
- შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა (ქალი/კაცი).

6.2.3 ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ (პროგრამული კოდი 06 02 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების თავშესაფრით, კვებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. ასევე გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 393-მდე ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა. შინმოვლის პაციენტების და მათი ახლობლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიციური შინმოვლის მომსახურების მიწოდებით. შინმოვლა გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვას (პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მონიტორინგი) მათი დამოუკიდებლობის და დაკარგული უნარ-ჩვევების შენარჩუნება/აღდგენას, რესურსების და უნარების გამოვლენას და ფსიქო-სოციალურ დახმარებას.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

უსახლკაროების აღმოფხვრა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 556,2 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

- სოციალურად დაუცველი და უმწეო ბენეფიციართა სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნება და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;
- უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა;
- ხანდაზმულთა დამოუკიდებლობის და დაკარგული უნარ-ჩვევების შენარჩუნება/აღდგენა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა (ქალი/კაცი).

6.2.4. სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 04)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა და სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნება. სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში, ერთ წლამდე ბავშვების კვებით უზრუნველსაყოფად, დახმარება გაეწევათ თვეში – 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით.



პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

სოციალურად დაუცველ ოჯახებში ერთ წლამდე ბავშვების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 43.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- ჩვილი ბავშვების სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნება;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციართა რაოდენობა (ქალი/კაცი).

6.2.5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ლოგოპედის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 05)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დაუნის სინდრომით, აუტიზმით, ცერებრალური დამბლით დაავადებული და სმენადაქვეითებული (მეოთხე ხარისხის სმენაჩლუნგობა) ბავშვების ლოგოპედის მომსახურებით უზრუნველყოფა, აღნიშნული ბენეფიციარებისათვის მეტყველების შესწავლა და გაუმჯობესება.

ლოგოპედის მომსახურეობის საფასური 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით აუნაზღაურდებათ,

შემდეგი კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე არასრულწლოვნებს:

- ა. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს,
- ბ. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს;
- გ. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს;
- დ. სმენადაქვეითებულ ბავშვებს (IV ხარისხის სმენაჩლუნგობა);

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების ადრეული განვითარების დარღვევების იდენტიფიცირება ბავშვის სოციალური, მოტორული, შემეცნებითი, კომუნიკაციური და თვითმოვლითი უნარების განვითარებასთან.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 30.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარების გაძლიერება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა (ქალი/კაცი);

6.2.6. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:



ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეიტენგირებული ბავშვების ყოველთვიური მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, აღნიშნული ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად მატერიალური დახმარება გაეწევათ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეიტენგირებულ 18 წლამდე არასრულწლოვნებს – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

მზრუნველობამოკლებული ბავშვების მიმღებ ოჯახებში განთავსების გზით ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 12.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.
- სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერება, ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების ხელშეწყობა და ბავშვთა მიტოვების რისკების პრევენცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა (ქალი/კაცი).;
- სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციართა რაოდენობა.

6.2.7. გათბობის სეზონისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების, სოციალურად დაუცველი შშმ პირების ოჯახების, აგრეთვე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების გათბობის სეზონისათვის მატერიალური უზრუნველყოფა.

გათბობის სეზონის დასაწყისში ერთჯერადი მატერიალური დახმარება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით გაეწევათ:

ა. სოციალურად დაუცველ (65 000 მდე სარეიტინგო ქულა) მარტოხელა პენსიონერებს;

ბ. სოციალურად დაუცველ (65 000 მდე სარეიტინგო ქულა) შშმ პირების ოჯახებს;

გ. სოციალურად დაუცველ (65 000 მდე სარეიტინგო ქულა) მრავალშვილიან (სამი და მეტი არასრულწლოვანი) ოჯახებს.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტზე მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 200.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:



- მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბენეფიციართა რაოდენობა (ქალი/კაცი).;

6.2.8. სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები:

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბენეფიციარებს კალენდარული წლის განმავლობაში სამედიცინო დახმარება გაეწევათ:

- ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
- ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
- გ. მედიკამენტური მკურნალობისთვის (მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში) – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

2. სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში, დახმარება გაეწევათ:

- ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
- ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
- გ. მედიკამენტური მკურნალობისთვის – 200 (ორასი) ლარის ოდენობით;

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ:

- ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
- ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
- გ. მედიკამენტებით მკურნალობისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს – 200 (ორასი) ლარის ოდენობით;

4. სტაციონალური, ამბულატორიული და დიაგნოსტიკური მკურნალობისათვის 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით დახმარება გაეწევათ:

- ა. ლეიშმანიოზით დაავადებულ ბენეფიციარებს;
- ბ. დედ-მამით ობოლ 18 წლამდე არასრულწლოვნებს;
- გ. ვირუსული ჰეპატიტებით დაავადებულ ბენეფიციარებს.

7. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციარებს სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისთვის დახმარება გაეწევათ – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

8. ომისა და სამხედრო ძალის ვეტერანებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ:

- ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;



ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

9. იძულებით გადაადგილებულ პირებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ:

ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

10. ფსორიაზით დაავადების მედიკამენტური მკურნალობისათვის დახმარება 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით გაეწევათ:

ა. სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში;

ბ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს.

11. ფენილკეტონურიით და ჰიპერფენილლანემიით დაავადებულ ბავშვებს (სპეციალური

საკვების შესაძენად) დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში – 3500 (სამიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

12. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ წესით განსაზღვრული პირობების დაცვით რეგისტრირებული იმ გაჭირვებული მოქალაქეების (ოჯახების), რომლებიც განცხადებით მომართვის პერიოდში არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს სიდატაკის დამღვეის სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და რეგისტრირებულია და არ აქვს მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მათი მომართვის პერიოდში მძიმე (ოჯახების) სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და არ მიეკუთვნება გაცემის წესის მიხედვით განსაზღვრულ არცერთ კატეგორიას და ესაჭიროება სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება, აგრეთვე იმ მოქალაქეების, რომელთაც განცხადების განხილვის ეტაპისთვის ვრცელდება წესით დაწესებული შეზღუდვები (მაგ: ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული გასაცემი დახმარებები), განცხადებას განიხილავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, შესაძლებელია გამონაკლისის სახით დახმარება გაეწიოს ამ პუნქტით განსაზღვრულ პირს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობის თანხით.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 1190.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- ონკოლოგიური დავადებების მქონე პირთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდა;
- სიკვდილიანობის და ავადობის შემცირება;
- მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბენეფიციართა რაოდენობა (ქალი/კაცი).;

6.2.9. ბინის ქირით უზრუნველყოფა (უსახლკაროების დახმარება) (პროგრამული კოდი 06 02 09)



პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურ ზღვარს ქვევით მყოფი უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

ბინის ქირა არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად აუნაზღაურდებათ:

ა. სოციალურად დაუცველ უსახლკარო – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და აღნიშნული ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში;

ბ. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მსხვერპლს.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტზე მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 25.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან გამოყვანილი, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციართა რაოდენობა (ქალი/კაცი).

6.2.10. სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 10)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ქ. ბოლნისში, დ. აღმაშენებლის ქ. უ/ნ-ში და დაბა კაზრეთში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია 250კვ/სთ – ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი – გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ³, ხოლო – ზაფხულის სეზონზე თვეში 50მ³, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ქ. ბოლნისში, სიონის ჩიხი N1-ში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია სრულად – საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი – გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ³, ხოლო – ზაფხულის სეზონზე თვეში 50მ³, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 45.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:



- სოციალურ საცხოვრისის მცხოვრებთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შემცირებული გადასახადების ოდენობა.

6.2.11. სტუდენტთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტების წახალისებას და ფულადი ფორმით დახმარებას.

ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით გაეწევათ (მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე) შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

ა. ობოლ და მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან სტუდენტებს – 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ბ. სტუდენტებს იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან – 50 (ორმოცდაათი) ლარი;

გ. სტუდენტებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა და ქულა მიენიჭათ გასული ან მიმდინარე წლების პერიოდში) – 50 (ორმოცდაათი) ლარი;

დ. სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი) – 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ე. სტუდენტებს ოჯახებიდან, რომელთაც ჰყავთ ორი ან მეტი სტუდენტი – თითოეულს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ვ. შშმ სტუდენტებს – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

ზ. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც გახდა სტუდენტი – 100 (ასი) ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნული სამი ან მეტი კატეგორიის მქონე სტუდენტები დაფინანსდებიან ყოველთვიურად 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

სტუდენტების მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 100.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- სტუდენტების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბენეფიციართა რაოდენობა.

6.2.12. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათი (პროგრამული კოდი 06 02 12)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შპს „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სამსახური“-ს დაფინანსება შიდა მუნიციპალური ტრანსპორტით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შეღავათიანი ტარიფით მგზავრობას.

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 630.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- შეღავათიანი ტარიფით მგზავრობა;
- კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრთა რაოდენობა (ქალი/კაცი);

6.2.13. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 013)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერად მატერიალურ დახმარებას მიიღებენ:

ა. მიმდინარე წლის 9 მაისისთვის – მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

ბ. მიმდინარე წლის 8 აგვისტოსთვის (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი) – 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს გარდაცვლილთა ოჯახები – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

გ. მიმდინარე წლის 27 სექტემბრისათვის (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი) – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახები – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი :

ომის ვეტერანთა მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

პროგრამის/ქვეპროგრამის დაფინანსების ოდენობა: 40.0 ათასი ლარი

მოსალოდნელი შედეგები:

- ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და თანადგომა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბენეფიციართა რაოდენობა.

6.2.14. ერთჯერადი დახმარებები (პროგრამული კოდი 06 02 14)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:



ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფილნი იქნებიან:

ა. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

ბ. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 150 000-მდე და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში – 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

გ. ასი და მეტი წლის ხანდაზმული – 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

დ. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული მსხვერპლი – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

